ქ. თბილისი 31.01.2014 წელი

უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის გადაწყვეტილება N3

„უკანონო მიყურადებისა და ფარული ჩანაწერების საკითხებზე მომუშავე დროებითი კომისიის შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 15 აგვისტოს N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების თანახმად:

1. დამტკიცდეს კომისიის საქმიანობის თანდართული ანგარიში (დანართი N1).

2. მოწონებულ იქნეს პირადი ცხოვრების პატივისცემისა და ხელშეუხებლობის დაცვის მიზნით შემუშავებული, „საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ თანდართული კანონპროექტი (დანართი N2).

3. განადგურებულ იქნეს პირადი ცხოვრების ამსახველი აუდიო/ვიდეო/ფოტომასალისა და დოკუმენტაციის შემცველი 45 ელექტრონული მატარებელი და სხვა მასალა (დანართი N3), რომლებიც არ შეიცავს გამოძიებისთვის ღირებულ ინფორმაციას.

4. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში აღმოჩენილი აუდიო/ვიდეო/ფოტომასალისა და დოკუმენტაციის შემცველი 590 ელექტრონული მატარებელი და სხვა მასალა (დანართი N4) გამოძიების დაწყების მიზნით გადაეგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას.

5. კომისიის საქმიანობის ამსახველი მასალების და დოკუმენტაციის შენახვაზე პასუხისმგებელ დანაყოფად განისაზღვროს სსიპ - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის „შსს არქივი“ (შენახვის ვადა - 10 წელი).

6. ეთხოვოს საქართველოს მთავრობას კომისიის საქმიანობის ანგარიშის მის ოფიციალურ ვებგვერდზე განთავსება.

7. ამ გადაწყვეტილების მე-3, მე-4 და მე-5 პუნქტებით განსაზღვრული მოთხოვნების აღსრულება დაევალოს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიულ-ტექნიკურ დეპარტამენტს.

კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე ჭიკაიძე

კომისიის მდივანი **ლევან იზორია**